პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №-------

ქ. ოზურგეთი -- თებერვალი 2022 წელი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა :**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge,ვებგვერდი 03/12/2019; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.113.016402) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-7 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის:

ა) „დ.დ1“ ქვეპუნქტი:

„დ.დ1) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით დებს ხელშეკრულებას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის დაინტერესებული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ;“;

ბ) „ე.დ1“ და „ე.დ2“ ქვეპუნქტები:

„ე.დ1) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმას;

ე.დ2) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთზე სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელი: ლაშა თავაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებული იქნა 2.11.2021წ. (N967-VIმს-Xმპ) აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის ან მისი ნაწილისთვის ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის (შემდგომ – ქარსაფარი ზოლი) სტატუსის მინიჭებასა და შეწყვეტასთან, ქარსაფარი ზოლის აღრიცხვასთან, აღდგენასთან, გაშენებასა და მართვასთან და ქარსაფარი ზოლით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. აღნიშნული კანონის მიღების საფუძველზე ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“, სადაც მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილებად განისაზღვრა: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის დაინტერესებული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, საკრებულოს თანხმობით, ხელშეკრულების გაფორმება; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის შემუშავება და საკრებულოსთვის წარდგენა; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთზე სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მომზადება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა.

აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა წარმოქმნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში ცვლილებების აუცილებლობის საკითხი, კერძოდ დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატა „დ.დ1“, „ე.დ1“ და „ე.დ2“ ქვეპუნქტები.

4. პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

5. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

6. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2022 წლის --- მარტი.